საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და
აუდიტორთა ფედერაციას

ნოდარ ებანოიძე

პირადი №: 56001002576

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვარ ბაფის წევრი, სურვილი მაქვს დავრეგისტრირდე ბაფის გამგეობის წევრობის კანდიდატად, როგორც კორპორაციული წევრი აუდიტორული ფირმებიდან სეგმენტის წარმომადგენელი.

განცხადებას თან ერთვის:

- *პირადი ხედვა - სამოტივაციო წერილი, ბაფის საქმიანობაში მონაწილეობისა და წვლილის შესახებ*

- *რეკომენდაცია სამუშაო ადგილიდან (აკადემიური სექტორის და აუდიტორული ფირმის წარმომადგენლის შემთხვევაში)*

(ხელმოწერა)

15. 11. 2022

(თარიღი)

ნოდარ ებანოიძე
გამგეობის წევრობის კანდიდატი

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და
აუდიტორთა ფედერაციის საერთო კრების დელეგატებს

ძვირფასო კოლეგებო!

ბევრი ფიქრის შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება კვლავ გთხოვოთ საქართველოს ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრობისათვის მხარდაჭერა.

ჩემი გადაწყვეტილება განპირობებულია იმით, რომ სურვილი მაქვს მოკრძალებული წვლილი შევიტანო პირადად ჩემთვის და ჩვენი პროფესიისთვის უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციის, ბაფის საქმიანობაში. ბაფის, რომელმაც წლების განმავლობაში, მაღალი კვალიფიკაციის, პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანების შრომისა და თავდადების წყალობით შეძლო არა მხოლოდ საერთაშორისო ფედერაციის ნამდვილი წევრის სტატუსის მოპოვება და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარება, არამედ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია ქვეყანაში ამ მიმართულებით ადამიანთა პროფესიულ ზრდაში.

შედეგები მართლაც შთამბეჭდავია და ასევე, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება, რაც დიდად შეუწყობს ხელს პროფესიის შემდგომ განვითარებას და ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას.

ორიოდე სიტყვით ჩემს მოკრძალებულ წვლილზე მოგახსენებთ. ვარ ფედერაციის გამგეობის წევრი 2016 წლიდან დღემდე. აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი და ვიღებ ფედერაციის საქმიანობაში და შემდგომშიც, მიუხედავად ჩემი მომავალი სტატუსისა, რასაც არჩევნების შედეგები განსაზღვრავს, მზად ვარ აქტიურად ვიყო ჩართული მიმდინარე საქმიანობაში.

პროფესიით ვარ ეკონომისტი. ვსაქმიანობდი ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელ რგოლში, საქართველოს უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოში.

2007 წლიდან დღემდე ვეწევი აუდიტორულ საქმიანობას--ამჟამად ვარ აუდიტორული კომპანია „ინტელექტ-აუდიტის" გარიგების პარტნიორი და დირექტორი.

ვიყავი საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრი და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

2018 წლიდან დღემდე აქტიურად ვარ ჩართული მსოფლიო ბანკის პროექტში, რომელიც ეხება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვას. ასევე, როგორც ბაფის წარმომადგენელი, ვმონაწილეობდი პროფესიის აქტუალურ თემებზე ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებში.

პატივისცემით,
ნოდარ ებანოიძე
11.11.2022 წელი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

აუდიტორული კომპანია ,,ინტელექტ-აუდიტი" რეკომენდაციას უწევს გარიგები პარტნიორს ბატონ ნოდარ ებანოიძეს მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის არჩევნებში.

პატივისცემით,
შპს ,,ინტელექტ-აუდიტის"
დირექტორი: ივანე გაჩეჩილაძე

შპს "ინტელექტ აუდიტი" • GEORGIA • საქართველო
IA
404906973
"INTELLECT AUDIT" LTD